

იუმორის გ. უსურნალი

აშაპაი დათოთახი




№ 8

თა. ტიფ. კარ. ამხ

უ მ ა დ უ რ ი ე ბ ი

ღა. „ვაიფინე“ ვისე ვერ
ღუნდავს, რამდენ მწუხარებას ვი-
ტანლით მით გავსაკვებთ.
ია ეკლაძე.



მინსკი

მეცამეტე აგოჭი. დედოლა მაკამე რამე, მეც ხომ შენი შვილი ვარ?
ია ეკლაძე. შხამით შეგერგოთ შვილებო, თუ ვერა ხედავთ, რამდენ მწუხარებას ვიტან თქვენ გამო-
საკვებთ.

დი ა ლ ო გ ი .

„დაე აბუხდუნონ... ვინც სინათლეს ვერს ხედავს.“

დაე, ჩამოგვთორღენ, ვისაც შარადი, კერძობათი, გულისთქმა ვერ შეუკუპება და გაზეთა „ქათანაურების ფურცლად“ ჭგონია.

დაე „კაიფინენ“¹, ვისაც ვერ დაუჩანას, რამდენ მწუხარებას ეტანდათ მათ გამოსაკვებათ.

დაე თავისი მკვდრები გაახვიონ გაზეთის ქაღალდში, ვისაც ჰგონია, რომ ამითი ხელს შეგვიშლის და თავისს ძალას გამოიჩენს².

ია ეკალაძე.

(გაზეთი „სამშობლო დედის ძუძუი“ № 108).

— აბა ეს რასა ვაგს? სად არის შენი სულის ზეური სიფაქიზე და სრული პრედლიექცია?

მეცხეთ, ძლიერ მკვებე კილოთი ელაპარაკებოდა ბ-ნს ია ეკალაძეს პატივემული ს კ-ლია, რომელსაც წინ გადაშლილი ეყო ქუთათური გაზეთი „სამშობლო დედის ძუძუი“-ს 108 ნომერი წითელ ქაღალდზე დაბეჭდილი.

— მეე... მეე...

— ჰო შენ, დიახ შენ, როგორც სჩანს განგებამ ხელსარიელი დაგვაბ აბსოლუტურად. პრედლიექციური თვისებანი შენში ინდივიდურად სახლერულ ყოფილან წინასწარად ვარემე ჩვენის შეგნებულის ჩარევისა.

— კი მაგრამ თქვენ როდის ჩაერიეთ ჩემსა და ღირველის საქმებებში?

— რომელი ღირველია? მე გეუბნები პრედლიექციის მხრივ შენ ხელსარიელობას განიცდი, ვინაიდან ბუნებრივი ნიჭებულება შენში აბსოლუტურად ჩარბული რჩება ინდურ სიმდაბლემდე.

— მელაპარაკეთ თქვენი ჰირიმე ქართულად. მე თუ ვთქვი, „თავისი მკვდრები გაახვიონ მეთქი“ ეს იმითომ, რომ ქაღალდი იაფათ არ მომყიდეს.

— კი მაგრამ, ეს ხომ ზნე უბადრუკობა არის და ცხადია, როცა ბუნებრივი ნიჭებულება ჩარბული რჩება უმეცრებულეკის უხასიათობლეებაში და გემოვნების სიტლანქებულე გულსახარად ამოიტრეტივებს ხორმებულეებაში, მაშინ ფუნქცია შეგნებულად ხარჯვისა...

— როგორ თუ შეგნებულად ხარჯვისა? ამ

ქაღალდს ჩვენ უწინ ვყიდულობდით 3 მან. 40 კ. ოზმას, ახლა კი ოზმაში გვახდენიერეს 7 მანეთს. ღაე ისევე თავისი მკვდრები გამოახვიონ გაზეთის ქაღალდში მაგ ჩარჩებმა და ქვეყნის მყველეთებმა.

— ფიჰ, ფიჰ, ფიჰ! ბურბონ! შენ არაფერს გიშველის არც ეამ-უწყვეტი მუსიფებულეება კაცობრიობის შეგნებულ შვილთა ნაწარმოებთა წაფებულეობისა და არც მარადი წაფვა ვარდაქნა იმ ცხოველურ დასაბამისა გონების ჯანგაუტეხელ კონტროლის მტკიცე კულტურულეებაში რომ მარხად გაივლებს სულთა სწრაფვის აბსოლუტური პრედლიექცია.

— თუგინ დამკალი, არაფერი მესმის. ასოთ-ამწყობები მე ვაგაძლო, ვაქრები მე ვაგაძლო, საზოგადოების სულიერი მოთხოვნილება მე ვაგაძლო. ამდენი ღორი მე.

— ციც! ეგ რა თქვა, ეგ რა ახსენე. ნუ თუ შენზე წინასწარი პრედლიექცია და პირადი ვანცდა არავითარ შეგნებულ მიზან-წონილობას არ იწყვეს. გირჩევნია კალამი ხელში ჩაგმეტერეს და შესაფერი ხეობა ეძიო, თუ ის ვერ შეგიგნია, რომ საზოგადოებრივ აზრის შემოქმედელს დაცვა პიროვნების ნების ყოფის მიზანშეწონილი მოხმარება ესაქიროება.

— მაშ ნუ ვიტყვი მართალს? ღორი ღორია. ყოველი მხრიდან იერიში; მართლის თქმისათვის გაუფიცენ ასოთ-ამწყობები, რომლებსაც მე ვკვებდი, მართლის თქმისათვის დამემდურენ და გამიღვენ მეგობრები, მართლის თქმისათვის გამიძვირეს ქაღალდი. სამეტეში ვარ რაღა. მხეტებს მხეტურად უნდა მოქცევა...

— ვადი! აზრის სიმაღლე და სულის სიფაქიზე შენისთანა მდაბიო უკადრის მწერლის პრედლიექციაში სიკალიერეს განიცდის და საკაცობრიო იდეალის სტიმულად ვერ გადაიქცევა. კრძალულ პატივემულობის განქიქება უხეშად ჩვეული, დამაფიქრებელ ნაკლთა ჩარბულობაში ეძიებს აბსოლუტურ განცდის ფუნქციათა სწრაფვის მიმდინარეობას. ეს თვისებები თავისთავად აუცილებელია და მარტოდ მარტო პრედლიექცია...

— შენი ოჯახი დააქცია ღმერთმა... გამიშვი. შენი არც კულტი მინდა და არც კონტროლი. მე მინი ვიტყვი:

„დაე თავისი მკვდრები გაახვიონ გაზეთის ქაღალდში იმათ, ვინც ქაღალდის ფასს მოუმატებს და ქვა ხეთქონ იმ ასოთ-ამწყობებმა, რომელნიც გაიფიცებიათ. (გადის).“

ბ-ნა ს. კ - ღია კარგა ხანს იჯდა დაფიქრებულ
 ღია ბილოს მშუბარებთ წარმოსთქვა:
 — მოდი და ელაპარაკე ამ
 (ეს სიტყვები ცენზორმა არ გაუშვა).

ეშმაკი.



ვ ი რ ი.

(ხაღხუა გაგონილია)

ერთსა კაცსა ახოვანსა
 თვალად, ტანად მშვენიერსა,
 სულ ყველაფრის მქონე-პატრონს
 ცოლით შვილით ბედნიერსა.

ერთი ჰქონდა მხალღად წუნნი
 და მით აღდა ვასაქირი
 სამწუხაროდ, სასირცხვილოდ
 მას სახელად ერქვა ვირი.

ცოლი მისი დანამწუხარი
 მუდამ იმის ცდაში იყო
 ქმრის სახელი რამეფერად
 სხვა სიტყვაზე შეცვლილიყო.

ერთხელ ქმარსა აუხიბრდა:
 რაც გინდა ის იღონეო
 და სახელის გამოცვლისთვის
 რამე გამოიგონეო.

ჩვენი „ვირიც“ ფიქრს მიეცა
 მეგობრებსა სთხოვა რჩევა
 უფრო მეტად მათ მიანდო
 სხვა სახელის გამორჩევა.

მეგობრებმაც ითათბირეს
 დაილაღეს ენა, პირი
 და აქ რჩევით გაათავეს
 კარს მოსული ვასაქირი:

„ვირს საღალი გაეწათათა
 მეგობრების მოსალხენი
 და სხვა გვარად მოენათათო
 კაცი იგი შენარცხენი“.

გაიმაბათა სმა და ლხინი,

სასიამო-სანატრელი,
 შეუცვალეს ვირს სახელს
 აუსრულეს საწადელი.

ვირმა ცოლსა მიახარა
 ახლად დავიბადე დღესო
 მე სახელი შემიცვალეს
 და ჩოჩორი მიწოდესო.

ცოლმა უთხრა: უგუნურო,
 ჩოჩორი რო გაიზღებო,
 აბა კარგად ჩაუფიქრდი,
 ისევ ვირი არ გახდებო?

ჩრჩილი.

„ძმური ნუგეში“.

ჩემს ყურში ამ წუთშიაც მკაფიოთ გაისმის
 ვერცხლის ზარის რეკასავით კრიალა კისკისი...

ვერც მანძილმა (იქიდან ვხლა კარგა შორს
 ვიყუარებე) და ვერც დრომ (ერთი თვე გავიდა მას
 აქეთ) ვერ შეარყია ჩემს სსოვანაში ის საღამო და
 ახლა თუ სიამით ვიგონებ კრიალა კისკისს, მაშინ
 სიმწრის ოფლში ვიწურებოდი; მაშინ მათი კრიმან-
 კული სიტყვილი ტყვიის საფანტავით ხედებოდა ჩემ
 გულს, უწყალით მიკაწრავდა და მწარე ტკივილს
 იწვევდა...

გულ ჩათხრობილი აღამიანი რომ ვიყო, სწო-
 რედ შურის ძიების ღირსნი არიან, მაგრამ ჩემ
 ხასიათს ეს გრძობა არ ჩვევია: პირადი ჩემი წყე-
 ნა და ტკივილი დამივიწყდა და ის მთის წყარო-
 სავით რაც-რაცა კისკისი ჩამჩრა გულში...

ყველაფერი მოულოდნელობისა და ჩემი სუ-
 ლელური სიმორცხვის ბრალი იყო.

ჩემი სიმორცხვის ამბავი ვის არ გაუგონია!
 ამ მხრით ვანთქმული ვარ. ისე ვიბნევი ხოლმე სა-
 ზოგადოებაში და უცხო კაცთან, ისე ამერევა ხოლ-
 მე გონება, თვალად და ცნება, რომ ჩემზე სასაცი-
 ლო და საცოლადვი მაშინ არ ვიცი ვინმე იყოს...

მაგრამ ამას თავი დაეანებოთ და ჩვენს ამბავს
 დაფურუწდეთ.

წაიკითხეთ თუ არა გაზეთებში, გოლოვიჩის
 პროსპექტზე ქართველ ქალთა მიერ დაარსებული
 საჩაიე „ძმური ნუგეში“ გაიხსნაო, მოვალეობის
 შეგნებამ შემიძყრო: ვადეწყვიტე დაუყონებლოვ
 წასვლა და ორიოდ ჭიქა ჩაის დალევია; ამით უპი-
 რველეს ყოვლისა ჩემს წვლილს ვავიღებდი და,

შემდეგ, შაქრან ჩაით პირს ჩაეფეგრირებოდა (სახლში შაქარი არა მქონდა).

წავიდი. გზაში შესაფერ გუნებაზე დავექვი და სათარეში აღსავსე აზრებმა გამოიტაცა: რაკარგია, ვფერობდი მე, რომ ჩვენ, აქ დაჩენილებმა, არ ვიუწყებთ ჩვენს ძმებს, რომელნიც ჯოჯობეთურ ტანჯვითა და თავგანწირვით იბრძვიან იქ. შორს, და ძმურ ნუგეშს ვაწვდიდთ ამ სიშორიდან!

რა კარგია, რომ ჩვენ, ქართველებმა, შევიგნეთ დღევანდელი მომენტის მნიშვნელობა და მთელი ჩვენი ენერგია დავანათო და გავაჩაღეთ: 1) გადაწყვიტეთ საჩაიეს დაარსება; 2) დავაარსეთ საჩაიე; 3) გავსენით კიდევ ეს საჩაიე; 4) დავდივართ ამ საჩაიეში და ძმურ ნუგეშს ვუვზავით შორეულ მეორებს... კემარბათ ჩვენვე ვქედთ ჩვენსვე ბედს და ესოდენ ჩვენი ენერგია და გარჯა სანართლიანთ ჩაგვეკლება ჩვენი მომავლის საკეთილდღეობა!

ასეთ ფიქრებში ვიყავი გართული, „ძმურ ნუგეშს“ რომ ვუხსოვდებოდი და წინ და წინვე მქონდა წარმოდგენილი ის სურათი, რომელიც იქ დამიხვდებოდა: საჩაიეში სხედან ძმები-ქართველები და თავგანწირვით და მძიმე მოვალეობის შეგნებით სტლიან ცხელი ჩაით სავსე ჭიქებს... ოფიო წურწურით ჩამოდით სახეზე, თავზე ოზივარი ასდით, პირი ყველას დაწვავი აქვს, მაგრამ ამ ტანჯვასა და წამებას არათ აგდებენ, რათა ძმური ნუგეში არ მოაკლდნ თავიანთ ვანწირულ მოძმეებს და კიდევ და კიდევ განაგრძობენ ცხელ-ცხელი ჭიქების დასვლას...

— ძმებო, მეც თქვენთანა ვარ! მეც ქართველი ვარ: ჩემი სამშობლოც ორ ზღვას შუაა გადაქიმული! აი ესლავე გავაღებ კარს, შემოგვიერთდები თქვენ, დაჯდები და შეეუფლები ჩემი ვლის მოზდას მამულის წინაშე! თქვენი თვლით დარწმუნდებით, რომ მეც შემქრლებია თავის გამოტება: მანამ არ დაუფრტევენ მდლადარ ჩაის სმას, ვიდრე თვით არ აფუღდები, ვითარცა სამოვარი... ძმა მისთვისასო, ამ დღისთვისასო! მეც თქვენთანა ვარ, ძმებო...

ვალბე კარსა და შევიღვარ...
აი, რა რწყება იმ გარემოებათა ჯაჭვი, რომელთა წყალბობით ის საღამო ასე ნათლათ აღიბეჭდა ჩემ სსოვნაში.

შევიდი თუ არა, უპირველეს ყოვლისა თვალში მეცა თეთრათ შემოსილ ანგლოსთა გუნდი... ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს სურათი,

რომ გონება ამერია, ფეხი რაღაცას (მგონა, კარგებში დაგებულ ფეხის საწმენდს) უკუაფრქვევდა, წაეჭკეკოდი რომ იქვე სკამს არ დავერდობოდი ორივე ხელით. მოვიკრიგე რაც გულს სინჯვრე მქონდა და მარცხის გამოასწორებლათ ვითომ თავისუფლათ და დაუდევრათ გავეპართე რომელიღაც სფურისკენ; გზაში ორიოდ სკამი წაეჭკეკე, მაგრამ ყურადღებაც არ მიმიქცევიდა და დავექვი.

— უკაცრავათ... თუ შეიძლება გოდეს აბრძანდით! ჩამესმა შიგ მარჯვენა ყურში ვიღაცას აღშფოთებული ხმა და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ამ კაცის მუხლებზე ვიჯექი

ღარ მახსოვს, როგორ დავექვი ქარიგლ სკამზე: როცა გონს მოვედი და კოტათი გამოვერკვიე, ვიგრძინე რომ ყველა „ძმების“ თვალები ჩემკენ იყო მოპყრობილი და „ღებოც“; ჩემი უბედურების მიზეზმა—ანგლოსთა, მე მომიტყუებოდენ.

ერთი ანგლოსთაგანი გამოეყო გუნდს, მოვიდა ჩემთან და ღამილით მკითხა:

— რას ინებებთ, ბატონო! სწორეთ ასე, ამ ღეჭით ქართულათ! ვავშტერდი.

ანგლოსთა და—ქართულათ ლაპარაკობს! ტყუილი! ეს ანგლოსი არ უნდა იყოს! განა მე არ ვიცი, რომ ყველა ზეციერი არსი, დაწყებული ღმრთისა და იესო ქრისტესაგან ვიდრე სერაფიმე საროველამდე და, მაშასადამე, ანგლოსებიც, მხოლოდ რუსულად ლაპარაკობენ? განა მეც, პატარაობიდანვე, მხოლოდ რუსულად არ ველაპარაკებოდი ხოლმე ღმერთსაც და ანგლოსებსაც!

— ანგელე ბოჟი, ხრანტილოუ ღუმ ი ტელეს ნაშხი...

ანგლოსებს რო ქართული სკოდნოდათ, განა ქართულათ კ ვერ ვეტყობდი?... ღვთის წინაშე, რუსული კილო კი ეტყობოდა ჩემს ქართულათ მოლაპარაკე ანგლოსსაც — „**Рась инебеньт, батоно!**“—მაგრამ მაშ მინც ქართულათ მითხრა! ვავშტერდი და უფრო დავიბნენი.

— რას ვინებებ?... მმმმ... მომიტანეთ... ერთი ჭიქა... მმმ... ძმური ნუგეში!

— როგორა?

— ერთი ჭიქა ძმური ნუგეშ... უკაცრავათ... ერთი ჭიქა... ჩი!

მაგრამ ეს ჩემი პასუხი ღარს ესმოდა, რადგან ისეთი ხარხარა წასქდა, რომ მთელი მისი საროს ტანი ცახცახმა აიტანა; შეუჩერებელი კისკისით გაბარუნდა და კვლავ ანგლოსთა გუნდს შეუერთდა.

სხვა ესტატებს ის არა ჰგავდა,
 ერჭვა: „ესტატე სამართლიანი“!
 ერთხელ ამ სოფლის მკვიდრთა შესახებ
 ასტრე ბაასი ერთ ვიწრო წრეში:
 ჰეტრე იცავდა ივანიკასა,
 გივს კი გოგია ჰყავდა სახეში.

პირველს უშვერად ლანძღავდა გივი
 და მეორეს კი ჰეტრე სძრახავდა,
 ჰეტრე აქებდა ივანიკასა,
 გივი გოგიას მტრედით სახავდა...

ველარ მორიგდენ ერთმანეთ შორის,
 ასტრეს ერთი აღრ-ხაურის...
 მაშინ ესტატებ ასე შენიშნა,
 იმათ დავას რომ ათხოვა ყური:

„ჩაანს, რომ საერთოდ ორივე კარგია,
 საითთაოდ კი მე იმას ვიტყვი,
 რომ გოგიასა სჯობს ივანიკა,
 და ივანიკას—ყველა პირუტყვი!“

ამ შენიშვნაზე მოდავეებმა
 ხმა ჩიწყუტეს, გაჰკმინდეს ენა:
 ვეს კარგათ ნუვის ნუ მოაჩვენებ,
 თუ რაზე არ გინდა თავის შერკბენა!

ონისიმე.

გ მ ზ ი

(ახ. „უმჯავის მართობი“ № 7)

თაქანკინდრული რომ ვარ და დავტირი ჩემს
 უბედურებას, ამ დროს შემომგებსა თამაღის ხმა:

— მასპინძლო, ალავერდი! და ჩემს წინ
 თვეშზე ჰქიამ ჩხრიალი მოაღინა.

— ეს შეურაცყოფაა! მე ჰქიამ გესროლე და
 შენ არ დაიქარე! იწყინა თამაღამ.

— თქვენსკენ არ ვიციტირებოდი, მაშასადამე
 აორც ჰქიამ დამინახავს ვუპასუხე მე.

— ფეულ!.. ერთი დაიდრილა ამ კაცმა და
 წამოიქრა. ეცნენ, შეიქნა ჩოჩქოლი.

გამიწყრა ღმერთი და ვიუჯადრისე.
 — როგორ თუ ჩემს სუფრაზე მევე ცემას მი-

პირებს მეთქი და გავიქარე.
 გავიქარე!! გაიქარა ისიც. ეს 25 კაცი ყველა

იმას ესევა, მარა ვინ დაამაგრებს?! მოღის და სტო-
 ლი, სკამები, ეს ამოღენა ხალხი—ყველაფერი თან
 მოაქვს...

მეტა ბიკინტი.

— კაცო, შენს ღმერთს შეხედე... გაჩერდი

გივია; ვადარეული! რკინას ისე ეტყვის უტოგორც
 ჰყინტ ყველს!..

შიშისაგან დაეცხრი.

დავეში სკამზე და ვფიქრობ:

— ღმერთო, ოღონდ აქედან თავ მთელი გა-
 მიყვანე და თუ ოდესმე ქუთაისში ჩამოვიდე, ცოც-
 ხალს ნუ ვაღამარენს!..

მეტი რა გზა მქონდა—ბოღიში მოვიხადე, მი-
 ვედი, გულზე ვემთხვიე და შვერივდი...

— კაცო, ამ შუა ჰამაში რომ ჩხუბობთ, მე
 რას მელუნებთ? ჯერ გავძლე და მერე, თუ გინდათ
 თავ-პირი დამატვირთეთ ერთმანეთს. ვითომ იოხუნ-
 ჯა ტიტკომ.

ახლა იმაზე ვფიქრობ—რითი გავისტუმრო ეს
 ნახარჯი? თუ ჩემი ჯიბიდან მივეცი, ერთი თვის
 ჯამაგირი არ მეყოფა და ცოლშვილს რაღა ვუყო?
 ან სადა მაქვს ფული?

ვადაწყვიტე, ისევე წინამძღოლს წარეუდგენ
 ანგარიშს. ვეტყვი—თავდაზნაურობა დავიპატივე
 შენს მაგვირათ მეთქი და ვაღიხდის.

ამ ფიქრში რომ ვარ, შემოიქრა ბიჭი და და-
 იყვირა:

— ბატონო, გვიშველეო, თქვენი მომარებუ-
 ლი გოკი გავვექცა!

გოკი გავვექცაო—წამოვარდი!

კარგში ირაკლი დამხვდა—ალარ მიშვებს.

— რო მირბიხარ, ამ ნახარჯს ვინ ვაღიხდის?

— ნახარჯი კი არა, გამიშვი, თორემ ვაგა-
 ცმიბირე. ისეთი თავგანწირვით დაუტყვირე, რომ
 გზიდან გადადგა.

— ღენო რომ მოითხოვონ—მივეცი? მომაყ-
 ვირა გზაზე.

— მიეცი! სვავი მაგათ მუცელს! მივაძახე და
 გავექანე.

ჩემი გოკი უკვე ბალთან მირბოდა.

დასდევნებია ბაზრის ბიჭ-ბუტები...წვივილ-კივი-
 ლი, ყრინა, სიცილ-ხარხარი

ამან სულ გააგვირა გოკი.

გარბის მარა, რას ვარბის!
 მივსდევ, მარა მუხლად ცოტა სუსტი ვახლა-
 ვარ.

თან ბრაზი მიხარბობს. მე სტატკეი სოვეტნი-
 კი, პოლკოვნიკი, დღე დღეზე ღენერლობას მოვე-
 ლი, ენა გადმოგდებული, ქედ მოგლოჯილი მივე-
 დევ გოქს და დესეტნიკებს-კი—დაუღიათ პირი და
 ხარხარებენ. ზოგი ნმაღსაც ვაუქნევს ხოლმე, რომ
 მეტად დააფრთხონ, ისედაც გავიყებულნი გოკი.

გაგზარაზდი!
თუ არ შეგაფუტხუნეთ, კაცო არ ვყოფილვარ
მეთქი—ვიფიქრე და ვიყვირე:

— არიქა, უშველეთ, გუბერნატორის გოქია!
ღმერთი არაგის გავიწყრეს, ხელი არ ახლოთ-მეთქი!
გუბერნატორის გოქიაო! აბა დაიძრა ჯამაათი.
ბარბის დესეტნიკა, მისდევს უზნის ზედამხედ-
ველი, მიქენობს ბოქაული!
გავიხედოთ ოთხ ცხენიან ეტლს მოაქანებს
პოლიციებისტერი.

გახდა ტელეფონის რეკა.
გავიხედოთ მაზრის უფროსი ცხენით და ნტრა-
ენიკებთ მოგვდევს.

მთელი ქალაქი ფეხზე დადგა.
იმ სამაგლემ დაადგა თავი თფილისის ქუჩას და
მირბის.

მივახწიეთ სადგურის გადასახვევთან, საშინე-
ლი ყოყნა შემომესმა. შევხედე-ტფილისის ძველი
ქუჩის გადასახვევი ხალხს გაუკრავს—კეტებთ და
ქვებით ხელში.

გეგმა ასეთი იყო, უნდა სადგურზე მიგვეჩიხა
და იქ დაგვექიარა.

სადგურის მოედანზე ხალხს ტევა აღარ ჰქონ-
და: კეტები, ცოცხები, ჩოთები, ჩერები! ვისაც
რა მოხვდა ხელში! რა ვიცი!

გოქი ხალხში შეიქრა.
ხალხი აჩოქოლდა.

მოსულები დამხეთურებში აირია.
— გოქი! გოქი!. ყველა ყვირის.
დიდი ხნის აურ-ზაურის შემდეგ, ბალახენის
ქუჩიდან მოგვესმა:

— გოქი რიონში გადავარდა და დაიხრჩო!
როგორც გამოძიებამ გამოარკვია, თურმე ის
სამაგლე არეულობის დროს ხალხს ფეხებში გაუჭტრა,
დაიშვა იქვე გადასახვევში ბალახენისაკენ გადიარ-
ბინა მოეგინა და რიონში კი ისყუპა.

ხალხი დაიშალა.
წამოვედი დამწუხრებული.
ჩემი „სტუმრები“ ისევ სუფრას უსხდნენ.
აბა იქ როგორ და გავებდავდი შესვლას!
მოვითხოვე ანგარიში. 78 მ და 60 კ. წარ-
მომიდგინეს.

ჯიბებზე მქონდა გზის ფული და სახარჯო მ
მანეთი.

გამიმართა მოლაპარაკება, —ჩემზე დარჩენილი-
ყო.

იმდენი მლანძღა და მაგინა რესტორანის პატ-

რონმა რომ გოქისაგან მოყენებული შეურაცყოფ
სულ დამაიწყა.

მაგრამ ყველაზე უფრო არ მამრახებდა, რომ
როცა ირაკლი მლანძღავდა, ჩემი სტუმრები „ლიხ-
ვო, ლიხვო“—ს ვაპკიოდნენ. .

როცა ლანძღვით გული იჯერა, დასთანხმდ
იმ პირობით რომ თამასუქი მიეცა.

ვინ პირშივი. ასი თუნძ-სას არ მისცემდ:
ოღონდ თავ-მთელი გავეშვი სახლში.

მოვუწერე ხელი და წავედი.
მაგრამ აღარ გნებავს წინამძღოლს ეჩვენო?!

გავიწყვიტე შუბლის ძარღვი, მივედი და ს
ლაფერი ვუამბე.

აღარაფერი მითხრა, მაგრამ...
იმ დღეს, როცა მისას წარჩინებული სტუმრო

პატრიცაკებთ ლხინი იყო და ყველა ჩემი ნაცნო
მეგობრები ქეიფობდნენ,—მე სახლში ვიჯექ და
ცოლს ვეჩხუბებოდი.

საიღოზე უგოკობა შეუძლებელი იყო.
იმოგნეს სადაც ბლინკი, ნაულნი გოქი
მიართვის.

იმ წყვეული შემწვარი მინც ისეთი გამოს
ლიყო, რომ ძაღლი არ ჰამდა თურმე. შავი, შავი
როგორც ნახშირი და ძალი და ტყავი. .

სტუმარმა წარბი შეიქრა.
წინამძღოლმა თავის ვასამართლებლათ ყველ
ფერი ჩემი თავგადასავალი უამბო.


არ გასულა ერთი თვე—ცნობა მომივიდა: ს
სახურიდან დათხოვნილი ხარო.
რესტორანის პატრონმა მიჩივლა და ჩემს „პენ
სიას“ „არესტი“ დაადო.

დღემდის ვიხდი და კიდევ დამრჩა.
წინამძღოლმა მადლობა მიიღო.
ირაკლი თავის ფულს გაინაღდებს და ჩემ
„სტუმრები“ კი თავზე დარჩენენ!..

ვალ. შალიკაშვილი




როგორ უჭონდათ გერმანელებს წარმოდგენილი მომავალი ომი*)



საფრანგეთის რესპუბლიკა უწინადადებს მისცემს ერნესტ პოსტარტს გამოეცხადოს ფრანგთა ჯარს ნაპო-
ლონ პირველის სახით და აღაფრთოვანოს იგი.




ამერიკა ხმელეთზე სრულად დამარცხდება. ჯა-
რისკაცებს გასწევს მოწინააღმდეგე კონსერვატი და
ქვეყანას იაპონელები დაეპატრონებიან.



სამაგიეროდ ამერიკა გაიმარჯვებს ზღვაზე. ერ-
თი ამერიკელი აღმირალი ჩანთქავს მთელ იაპონიის
ფლოტს.

*) ეს კარიკატურები ამოღებულია 1907 წლის გერმანული ჟურნალიდან.

როგორ ჰქონდათ გერმანელებს წარმოდგენილი
ზომავალი ომი.



ვასამხნეველათ გერმანელი სალდათი შეიარაღებული იქნება გრამოფონით.

თითონ თუმცა რაქველითა ქუთაისში ცხოვრობენ, მაგრამ (ციხეშიც კი პრძანდებოდა ამ ორიოდ წლისა წინათ).
 თავი მოაქვს ნასწავლ კაცად, (ექს-მწერალი გახლავთ სოფლის) წელს ისუქებს ხალხის ფულით, არ სჭირდება დაღვრა ოფლის. ქუჩა-ქუჩა დაწანწალობს იქ დაეძებს ის საკბილოს, რომ დასტყუოს ვინმეს ფული და ან მუქთად ისადილოს.
 ახლად ჯარში გაწვევულებს ის პირდება დახსნას შეგლას, და ისინიც უჯერებენ ამ ცბიერს და ცრუ-პენტელას. ხუთასს, ექვსასს ართმევს თითოს (ეს არს მისი „შრომის ფასი“) ზოგს კი ისე უხდის საქმეს რომ ვერ შეგლის ვერც ათასი.
 როს ფულს იღებს მიკიტნისკენ გაიქარებით მიაბიჯებს, იქ არს მისი „გლავნი შტაბი“, ის იქ ნახავს თვის ძმა-ბიჭებს. დასხდებიან სამენ ღვინოს სუამენ შემწვარ-მოხრაკულებს. დღე და ღამე იქა გლია და იქ ფლანგავს ჰარამ ფულებს.
 კუჭის მონა კუჭზე ზრუნავს, კუჭს აყენებს დიდსა ძალოს, და იმ ფულის პატრონებს კი ავლებს ეველას პირში ჩალოს.
 აწ კი კმარა, თორე? ღექსი ცოტა გრძელი დაიწერა, ანა ვინძლო გამოიკნოთ— ვინ არის ეგ გაიძვერა.

კვახაძე.

გ ა მ ო ც ა ნ ა

(რაჭისთვის)

ტან მსხცილი და ღობიანი
კისერ ჩასუქებულია,
ნამუსსა და სინილისზე
სწორედ ხელ ადებულია,



ქუთაისის ქალთა კრება.

ნაწილი პირველი.

სცნა წარმოადგენს შავი ქვის მრეწველთა დარბაზს. თავმოყრილია ქუთათური ქალები: მალალები, დაზლები, სხვილები, წყაროლები და სხ. და ბაზის შესავალიან შეჯგუფულან მამაკაცები: სტუდენტები და ჰალარით შემკული მამები. ცნობის მოყვანებით იფრთხილებიან ქალებისაყენ და მზიარულათ ხიზიხითებენ. ერთი მგლოტი სტუმარი მიუბრუნდება ღიპიან ეჭიმს:

შელოტო. თქვენ, ბ. ექიმო, თავს რაზე იწუხებთ აქ ყურყურით. დრამატული საზოგადოების კრებაზე წაბძანდით და იქაური ამები მოისმინეთ. აქ თქვენი ნახევარი დარჩება. საღამოს ერთიმეორეს გაუზიარეთ ნახულ-გაგონილი; სიამოვნებით ჩაგვძინებათ.

ექიმი. შენიშვნა კუყასთან ახლოა, მაგრამ მე მიინც მიინდა ქალების ორატორულ დოღს დავესწრო. სტუდენტო. (მეორეს). შეხედე, ბიქტორ, იმ ქალს მაგიდასთან რომ დგას, ჯოჯოხეთის მამხალას არა გავს ის ოჯახქორი? მოგკა მავი და ათასი თუმანი ვალი?

მეორე სტუდ. რალა მბინჯებს ათვლიერებ, შე მამცხოვრებულო, ღამაზემი ცოტაა? აი იმ თეთრ შლიაპიანს შეხედე, რა დაბრაწული ლოყები აქვს. ერთი მაგისი თავი ჩამადგებია ხელში და მერე თუ გინდა უნივერსიტეტიდანაც დამითხოვონ...

1 ჭადრა. შეხედე, შეხედე, თომა, კარებთან რომ დედაკაცი სდგას. ხო, ხო, ხო რა ძუძუები აქვს. ერთ წიგნის მალაზიათ არა ღირს?!

2 ჭადრა. შენ კი არ აიღებდი ერთი წლის ჯამაგირზე ხელს, ჩემო ვარდენ, ოღონდ თავი მიმადებობის იმ აყვავებულ მკერდზე? უყურე, როგორ ცხვრის ღუმასავით ათაქთაქებს... ძალიან ლუკმაია..

1 ჭადრა. შენ თუ კი ცოც იყო, აქ რა გინდა? რა შენი საქმეა ქალთა კრებაზე ყურყურით?

2 ჭადრა. შენს თავს დავკითხო ის არ გიჯობს, რალა მე შეკითხები?

1 ჭადრა. მე აქ სხვას ვუცილი.

2 ჭადრა მეც კიდევ სხვას ვუცილი. (ორივეს ეცილებათ).

ნაწილი მეორე.

(იგივე დარბაზი.. ქალები თავმჯდომარეს ირჩევენ). ერთი ქალთავანი. აირჩიეთ თავმჯდომარე. (ყველა ერთად აღაპარაკდება. საშინელი ხმაურობაა. არაფრის გარკვევა არ შეიძლება. მოისმის ზა-

რის ხმა. წყნარდებიან. ვილაც აცხადებს, რომ თავმჯდომარეთ არჩეულა-ლინა-სოფია-ასული) თავმჯდომარე. (მოისმის ხმა. თვითონ კარ შოსჩანს). ბატონებო! თქვენ ყველას მოგესხნებათ, რომ სამუდამოთ სიცოცხლე არავის არ უწყრია. ამიტომ ადამიანები იხოცებიან. გარდაიცვალენ, მაგალითად, ადამი. ევა, აპრაპი, ნოე, ვახტანგ გორგასლანი, თამარ მეფე, ვაბრიელ ეპისკოპოსი და ილია ქაქუაძე. ბევრი სხვა გარდაიცვალა, მაგრამ ყვე-ას ხომ ვერ ჩამოგითალით? გთხოვთ მიცვალებულებს პატივი სცეთ ფეხზე აღდგომით (ყველანი დგებიან).

ერთი წევრთავანი. ბატ ბო! ქნმა ღიზამ ჩვენ მოგვიწოდებ ფეხზე ავმდგარიყვით, თვითონ-კი სკამიდან არ დადრულა. (მოისმის უმეყოფილების ხმები სხვადასხვა კუთხიდან: "ადგეს, უსათუოდ ადგეს")

თავმჯდომარე. ბ-ბო! დაწყნარდით. აქ გაუგებრობაა, მას შემდეგ, რაც თავმჯდომარეთ დამასახელებთ, სულ ფეხზე ვდგავარ. ფეხზე ვდგავარ ახლაც, მაგრამ თუ ამას ვერ ამჩნევთ და მჯდომიერ გგონივართ, ამისი მიზეზია ჩემი მომცრო აგებულობა. (კრება მიინც არ წყნარდება. თავმჯდომარე იძულებული ხდება სკამზე შედგეს. კრება ამის შემდეგ წყნარდება).

თავმჯდომარე. გთხოვთ აირჩიოთ სეკლატარი. (დარბაზში საშინელი ღრიანცელი ასტყდება. იქნევენ ხელებს და ფეხებს. ბოლოს მაგალითად გადის ერთი წითელთმიანი მანდილოსანი და იერიქონის საყვირის ხმით აცხადებს: ბ-ბო! მაქვს პატივი წარმოგიდგეთ. მე გახლავარ თქვენი მდივანი. კრება კმაყოფილია).

თავმჯდომარე. (არჩევიდან ორი საათის შემდეგ). ბ-ბო! თორემ მე უფლება არა მქონია თქვენი თავმჯდომარეობისა, რადგან საზოგადოების წევრი არა ვყოფილვარ. ეს ამბავი ახლა შემატყობის. (ხმაურობაა. მოისმის ხმები: ჩაეწყრე ახლავე წვევართ, თორემ თმებისაგან გაგცლით. როგორ გაბედე ჩვენი მასხრათ აღება?)

თავმჯდომარე. მე ბოღღის ვიხიდი, მაგრამ თქვენი ეულანისი ასრულება მიინც არ შემიძლია რადგან თან ზონტიკი არა წამომიღია..

ხმები. ეს ჩვენი გაღამძღვაა. ჩაეწყრე ახლავე, თორემ ძირს გადაგადებთ ფანჯრიდან!

მესწრაფნა ჯანა. სიდ გგონილია, პატენი, ამდღონი ვარკობა? ჩქიმი თიერთი შველარი რომ დასავირავებლათ გამიხნდეს, ღიზას სარწვევა ფულს

მინც ვადვირხდი. (შეაქვს ფული. ღიზა თავ-
მჯდომარეთ რჩება).

ნაწილი მესამე.

თავმჯდომარე. ბ-ბო, ვიღამაც ხარა მომპარა. გთხოვთ
უკანვე დამიბრუნოთ. ამის შემდეგ მე მინდა
გამოვარკვიო რამდენი წევრია კრებაზე. გთხოვთ
მარტო წევრებს აბრძანდეთ ფეხზე. (ყველანი
დგებიან. თავმჯდომარე მაგიდაზე ადის და კრე-
ბას დიდხანს ათვლიერებს).

მდივანი. დაბძანდით, გეყოფათ ფეხზე დგომა.

თავმჯდომარე. მდივანო, ჩემს უფლებასში ნუ ერე-
ვით. მაკალეთ თვითონ გავუძღვე კრებას. მე-
ტიჩრობას აქ ადგილი არ უნდა ქონდეს. (მდი-
ვანი გაბუტული ჩარგავს რეჟულ ში თავს) დაბ-
ძანდით, ბ-ბო! ახლა კი ისინი იდეკით, ვინც
არ არის წევრი. (მთელი კრება დგება) გთხოვთ
სხდომას სამასხრო ადგილათ ნუ ვადააქცევთ.
ეს როგორ შეიძლება? ან თქვენი ხართ სულე-
ლები და ან მე. (საშინელი ხმაუროაა. თავ-
მჯდომარისაკენ იწვევენ: ესერიან ჩიხტებს, ქუ-
ლებს, რიდიკულებს. თავმჯდომარე მაგიდას
ქვეშ იმალება. ვიღაცა მაგიდიდან მოპარულ
ზარასაც ესერის. ზარის ხმის გაგონებაზე ყვე-
ლა ქურდის ძებნას შეუდგება. თავმჯდომარე
ისევ თავის ადგილს იქერს).

მდივანი. მე პრინციპიალურათ წინადადებას ვიდლე-
ვი სათითაოთ წაიკითხონ წევრების გეარები.
(კრება დებულობს წინადადებას).

მდივანი. (კითხულობს სიას). ამაშიძისა კიტა (მათა-
კაცებში სიცილი მოისმის).

თავმჯდომარე. მდივანო, თქვენ უჩვეთ ალბათ სახელებს.
კიტას რა უნდა ჩვენს წრეში?

მდივანი. უკაცრავით, ბ-ბო, სადღაც მის სურათს
მოკვარი თვლი და იმან შემაცდინა. (კითხუ-
ლობს) ანჩლაძისა ნინა, დუნდულაძის ასული
სალომე, ბუტიაძისა ნატალია (კარებისაკენ
გაიხედავს) ახვლედიანისა შალვა... (მოისმის
პროტესტები).

მდივანი. კიდეც კაცების სახელ-გვარს კითხულობ?

მდივანი. (არჩულოთ) უკაცრავით, კარებისაკენ გავი-
ხედე და თვლებში შემიჩხირა. (განაჯრძობს
სიის კითხვას, რომელიც სამ საათს გრძელ-
დება).

ნაწილი მეოთხე

(შუა ღამეა. კრება გულის ძილს მოსცემს. ღიზა თავ-
მჯდომარე სინდვს. პრეზიდიუმს მათე თავები მიულაგებიათ და ერთად
ხვრინავენ. დანარჩენი წევრები ზოგი სკამებზე მიწოლილა,
ზოგიც იატაკზე გაქიმულა. შემოდის საბჭოს მოსამსახურე.
გადადის მძინარე ვეამებზე და მაგიდასთან მიდის. იღებს ხელ-
ში ზარს და მძლავრათ რეკს. ქალბერი იღვიბებენ, თვალბენ
იფშენებენ).

დედა. (მიუბრუნდება ქალიშვილს) შეილო, ანეტა,
საბანი გადიფარე, არ შეგკოვდეს. კარი ღია
დაგვრჩენია.

საბჭოს მსახური. ბ-ბო, როგორ შეიძლება აქანა ძი-
ლი? მოგიხობრებიათ ყველაფერი. კრების გა-
მართვა რა თქვენი საქმეა, ჯერ ღობისა და
ტყვემლის მოხარშვა ვერ მოგიხიერებიათ რი-
გინათ?

ხონტარი.

ფ ე ს ე ჩ ა ც მ ა.

(გურული სცენა).

(ერმალია ფეშშიშველი მუშაობს ყანაში და
გზირი თავზე დაიდგება).

გზირი. ერმალია გამარჯობა შენი...

ერმალია. ღმერთმა გაგიმარჯოს თუ კი ამბავი
მოგაქ...

გზირი. მამასახლისმა გიბრძანა: ამ მ-ნუთში
ქანცალარიაზე* გამოდი სხვაგან უნდა გავა-
გზავნოვო...

ერმალია. ამაზე უეთესი არ გევიგონა მისმა და-
საფშუკავმა ყურებმა... კი მარა „სტოროცი“ რას
გიკეთებენ კაცო იქინე?

გზირი. „სტოროცი“ არ სცალია; მამასახლისი
ამუშეებებს შინ...

ერმალია. მამაღეთისა ვაუწყურეს იმას... „სტო-
როცი“ ჯამაგირი ჩვენ ვაძლიოთ და იმან ამუშა-
ვოს, აგია სამართალი?

გზირი. (გულმოსული) შენ ბევრს ნუ ყებლობ,
რასაც გიბრძანებენ იგი ქენი, ჩეიკვი ფეხზე და
წამოდი მალე...

ერმალია. (მტკიცედ) ფეხზე ჩაქმა არ შემიძლია
თუ გინდა, რომ დამარჩოთ მინც...

გზირი. (შეუტყვის) ვითაჰ რეხათ?

ერმალია. (სიცილით) იმიზა, რომ რაც არ მაქ
რა უნდა ჩვეიცვა?

ხ ი ფ ა თ ი .

ქალბატონ შმიტი შეგვექნა ავათ
 ტერ-ნიკოვსოვს მის სანახავათ
 (ვით ჯაინოზი და დოსტაქარი!)
 როგორღა ეთქვა მისკლავზე ვარი?
 თუმც ის არავის მიუწევია
 არც გასამრჯელო მიღურთმევია,
 მარა იმდენათ კეთილი ხრის
 სძულს თურმე კიდევ რთმევა ქანქარის,
 თან ახლოც იყო უნდომის?) ბინა.
 ბატონი შმიტიც არ იყო შინა
 (არ მისულიყო ვით მოეთმინა?)
 მივიდა კიდევ დარევა ზარი
 მას ავათმყოფმა გაულო კარი
 (მოსამსახურეს არ დაუცადა
 ექიმის ნახვის ებრძოდა მად)
 და რა შევიდა შიგ დოსტაქარი
 ამ ქალბატონმაც ვითარცა მთვარალი
 წაიხარბა (შე ვფიქრობ ბრალი
 აღბათ „სკვანოი“ თუ იყო ქარი)
 თანაც ჩაცმული არ იქნებოდა
 როცა ლოგინით წამოდგებოდა,
 მოვლენა ესე ძლიერ ხშირია
 არც აგრე დიდათ გასაკვირია
 თუ მას ექიმმა მოხვია ხელი
 და იქ ლოგინზე ენა უთქმელი
 ვითარცა მკვდარი თუ მისაცენა
 და შესატყობათ უნახა ენა
 რითაც გაიგო მან სიცხე დიდი
 და მჯგის ცემაც ას ოცდა შვიდი.

.

ამ დროს, სრულიად მოულოდნელათ
 საქმე მოეწყო ცუდათ და ძნელათ;
 თუმცა არ იყო წესი და ვადა,
 მაგრამ მათ შმიტი გამოეცხადა.
 ცოლი რა ნახა მწოლარე მისი,
 და მასთან მყოფი ექიმი თვისი,
 საქმეს „შეცდომით“ შეხედა ცუდათ
 (ექიმის ტყავი უნდოდა გულათ)

მისდგა „მასაჟით“ როგორც წესიანად
 შემდეგ რაც მოხთა უკეთესად
 ჩემო მკითხველო რომ არ იცოდეთ...
 (მხოლოთ ექიმი კი შეიცოდეთ)
 ქალბატონსაც სკირს გულის ფრიალი
 რადგან მის სახლში ღრიალ-ხრიალი
 უგემურ ქმარსა არ შეეწყვიდა
 შეურაცყოფილ თავს რადგან სთვლიდა.
 ბულვარის ხალხი იქ შევიყარეთ
 იქვე ბუტუნაც კი დავიბარეთ
 გამოძიება რომ მოეხდინა,
 ორში მართალი თუ იყო ვინა
 და ეშმაკისთვის წამოვგზავნა,
 საინტერესო არაა განა?

ბუტუნა.



მიკიტის გოდება.

(ვუძღვნი ნ. გ.)

ვაჰ! ჩაქუაჯან, კაცო ამისთანა ხათა გინახავს?
 ჩემმა მზემ ვე ოხერი ღერზანია სწორეთ ხათა გახდა
 რალა! ისე ჯავრი მამდის, რო ლამის ვავსკდვ რალა.
 კაცო ძაგო მაშ არ ვაგჯავრდვ, ჩემთვის კობტათ
 ტრახტირი მქონდა გამართული, ძმა ბიჭები მოდიო-
 დენ არხენათ ვეპრობდი, ღერზანიმ ვონა ქნა
 თუ არა, ერთიკ ვნახოთ ჩემ ღუქანში პრისტავი
 მოდის და მეუბნება:

— კარავეტ ოვადჯანოვ, ნემდღენო დოღეინ
 ზაკროიტ ტრახტირი!

მე ჯერ გამეცინა, მგონია ხუშრობს, ისე, ერთი
 არაჟი უნდა მეთქი, მეც ვაგვებუერე.

— კოვდა ვაშე სიატელსტყო, სელიდნია ილ
 ზაგტრი-მეთქი. ააა, ვაჰ! კაცო არ დაიყვირა.

— შტო ტი სმეეცხა ლვორიტ, სიჩას ზაკროი,
 ლვორიტ. ვაჰ! ვეუბნები:

1) ჯაინოზი—ძველათ განთქმული ქირურგი.
 2) უნდომი—ავადმყოფი, რომელსაც შინაური არაფერი
 არ მოსწონს.

— ზაჩემ ზაკროი შტო ია პატენტ ნი კუპილ შტოლი--აა.

შტოტი ლვორიტი რასუფაიცი, პრიკაყემ ზაკროიტი. ვაჰ! ვხედამ აღარა ხუმრობს, მე დახლოდან თუმნინი ამოვიღე დ ვეუბნებო:

— ვაშე სიატელსტო პუსტი შოი ტრახტირ ოტკრომი ია ტებე დესიატ რუმლეი დაიუ.

— ნეტ ნელზია ლვორიტი.

— ვაშე სიატელსტო კადა ატკრიტ დელაღ პიატნაქატ რუმლეი დაიუღ, ვოღე ბეზ დენგი დავალ, ზაჩენ ნი პუსკაეტი.

— ეტ ნი შოი დელო ლვორიტი ატო შტრაფ ბუღეტ ლვორიტი.

როგორც იყო წავიდა რაღა, ვაჰ! კაცო ჩემი ხელით დავკეტი ვაჰ! კაცო ლენო, ყერი რაჲე ხომ სულ გავფუნდა, არა ძაგო რაც გინდა იყოს ჩემი ხელით არ დავკეტამ. ერთა საათო არ გასულა ის უნამუსო კიდევ არ შოვიდა.

— ნუ შტო ლვორიტი ნე ზაკროილი?

— ვაშე სიატელსტო კეკ ია ზაკრომი ტამ კუნენ სოუს, ბორშ, კატლეტ, გალუბცი, ჩიხირთმა, ხაშ, ხაშლაშ, ვსოა ისპორტიტი.

გაიგე კაცო, იმ უნამუსომ ამიღო ქაღალდი, და შტრაფს არა სწერამს. მე ვითომ არაფერი ვიცი ვეუბნებო:

— ვაშე სიატელსტო, ეტ შტო პიშიტი?

— პიატსოტ რუმლი შტრაფ ბუღეტ ლვორიტი.

— ვაშე სიატელსტო! ნე პიში პოკალუსტა ია სიჩას ზაკროიმ. საქმე არ გაქ. ის თავისთინა სწერამს. ვაჰ! ვფიქრობ მართლა არ დასწეროს დაა, ჩქარ-ჩქარა ვკეტამ.

— ვსო რაგვო ლვორიტი შტრაფ ბუღეტ. ვაჰ! ამბობს და თანაც არ მიდის... სუფე სარქისის მადლმა სწორეთ ხათა გახდა რაღა. ვეუბნებო:

— ვაშე სიატელსტო!! ვაშე სიატელსტო!!

— უბირაისა ლვორიტი. მე მიინც არა ვშორდები ვაჰ! კაცო სად უნდა წავიდე ჩემი დუქანი ხუთასი მანეთი არა ღირს, ის კი ხუთასი მანეთი შტრაფოა, ვეუბნებო:

— დავი შოი შტრაფ პიატ რუმლი დამ.

— შტო ლვორიტი პიტსოტ რუმლი ზა პიტ რუმლი ხოჩემ გოვორიტი ვაჰ! კაცო ისე ამბობს თითქო თავის ჯიბიდან შიღისო.

— ნუ სემ ადამ.

— დესტე დავიო ლვორიტი. ავიღე გაიგე და თუმნინი შიგ ხელში ჩაუღე, ვაჰ! იმ უნამუსოს არც კი შარცხვა ისე ჩასლო ჯიბეში, და თანაც აღინ

ბუტილკა ტაკოი პრინესო, ი კრეცენენაშქი ლერმანია ვოშემ ტოღდა ლოგორიტის სიგორი შო ვეუბნები და თანაც გულში: ვამბობ:

— ოხ ტი ნელოდა სკაპიდარ ვიპიშ პრინესუ.

ვხლა დავდივარ და ტელეღრამებს უყურებ. პერემილა რომ აიღეს ისე გამეხარდა, ისე გამეხარდა, თითქო მე და ჩემი ხამფერა-ყუთით სასეე ფულს ვთვლიდეთ. ვაჰ! ერთიკ ვნახოთ ისეე უკან არ წაიდეს?! ხათა რაღა ჩემმა მხეუ. კაცო წინათ გეუტქა ამბობდა: ლერმანიაში მარტო კალბასის გეკეთება იციანო, ვაჰ! ხელამ ყურუშსაღლები რა იონებს გვიშვრებთან. ვაჰ! რატო მუშტით არ არის ეს ვინა, მაშინ ნახამდა რა დღეს დავაყრილით დ. ლერმანიის ღრანიკაჲე ავღაბრელ გიგუას დავსომდი, ავსტრიაში კიდევ ორთაქალედ პეტას, ერთი დიდოთ კვეფაში ვინ იცის კალბასნიკაჲე დავიწყებოდათ. ეი გიღი ამასთუმან ლერმანიას ჩენი ვინას მაგება უნდა, მახლას.

შ. კ. აღამიძე.



დ ე პ ე უ ე ბ ი.

ფოთი. ადგოლობრივმა ინტელიგენციამ (ყველა ჯგუფმა) დაადგინა: თანამედროვე*) ლექციები, წარმოდგენები და ყოფილი სამკითხველო, ისლად გახსნილ „სახალხო“ სახლში „პოლიზრში“ მოათავსონ და მუშაობა გააერთიანონ. საქმე „სასურველად“ მიღის. „დამოუკიდებელ“ მიზნთა გამო კამათი კამათლებით სწარმოვებს.

იქიდანვე. ბოლქევის ხე-ტყის ქარხნის ორ ჯგუფად გაყოფილი შვიდი (თითო ჯგუფში 3 1/2 კაცი შედის) მუშა გაიფიქრა. გაფიქვა „პოლიტიკური“ ხასიათის არის. მოითხოვენ „ხაჩინისაგან“ პირველი ჯგუფი მეორის, ხოლო უკანასკნელი პი-

*) ბახუშ-ბაქარაჲე და სიყვარულე.

ქალაქ თფილისში

გამოდის უოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი და თაგუნა**,
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში“ დაიბეჭდება მხალხურ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვეთები და სხვა.

◆ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгиянская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)



*) ეს ადგილი კონვერტზე მარჯვენა მხარის დანიშნული და გულმედიწყებს მოვავანებთ, რომ
◆ ჟურნალის წერილებს რედაქცია არ დაისწის ◆

როგორ ჰქონდათ გერმანელებს წარმოდგენილი მომავალი ომი.



სამხედრო ავტომობილების მოქმედება ყოველივე შოლოდინს გადააჯარბებს.

გოლოვინის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხეში

გაიხსნა ახალი აფთიაქი გარღამ აზველედნიისა.

გუზუნა

ჩვენი გემო

კვანძი

„ჩვენი გემო“-ს ქარხანა გადავიდა ჩერქეზოვის ქუჩაზე № 38.

კვანძი მზადდება ბარეულ ხარისხოვან მასალისაგან და ნაღული წელით. სისუფთავე ქარხანაში სავსებით დაცულია. ამზადებს დადი ხნის დავერეგული და პრაქტიკის მქონე შოხლე. გემო და სუნი მეტად სსსიაშოვნო აქვს.

ვისაც სურს დალოცოს ნამდვილი პურის კვასი. მოითხოვოს ყოველგან ჩვენი გემო და არ აღრიონ ის სხვა ფირმებში. კვასი „ჩვენი გემო“ ქიმიურ ლაბორატორიისაგან გასინჯული და მოწონებულია.

გოლოვინის პროსპექტის კუთხეში

სამხედრო ავტომობილების მოქმედება